

მარიამ ჯოხაძე

დაბადების თარიღი: 15/06/2006
სკოლა: კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა
პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
კურსი: 3
CU ელ. ფოსტა: M_JOKHADZE3@CU.EDU.GE

ჩემს შესახებ:

მე ვარ მარიამ ჯოხაძე, კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტი. საერთაშორისო პოლიტიკა, დიპლომატია და გლობალური პროცესები ყოველთვის იყო ჩემი მთავარი ინტერესის სფერო, რის გამოც ყოველდღიურად ვცდილობ ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებას.სწავლის პარალელურად აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო, აკადემიურ და ახალგაზრდულ პროექტებში. მონაწილეობა მაქვს მიღებული არაერთი ორგანიზაციისა და ინიციატივის საქმიანობაში, მათ შორის "ფრანკლინის კლუბის" პროექტებში, სადაც შევიძინე ახალი გამოცდილება, განვივითარე კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარები. ასევე მაქვს მონაწილეობა მიღებული ევროპარლამენტისა და გაეროს სიმულაციებში.
თავისუფალ დროს მიყვარს წიგნების კითხვა, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიისა და პოლიტიკის თემებზე. ასევე, ჩემი ჰობია ინტელექტუალური თამაშები, განსაკუთრებით სუდოკუს ამოხსნა. დიდი ინტერესით ვსწავლობ უცხოურ ენებს, რადგან მიმაჩნია, რომ ისინი საერთაშორისო გარემოში წარმატებისა და სხვადასხვა კულტურის უკეთ გაცნობის მნიშვნელოვანი საშუალებაა.
სამომავლოდ საკუთარ თავს დიპლომატიის სფეროში ვხედავ და მჯერა, რომ კავკასიის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობა ამ მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი CAUCASUS UNIVERSITY AMBASSADOR